საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4089
03/08/2022

4089-21-2-202208031712

შპს „ინერტული მასალების კომბინატს“
მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №44, ბინა №25
ელ.ფოსტა: giorgadzevl@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3178 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა სიმონეთში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა სიმონეთში, თუმცა ძირითადი დოკუმენტის (სკრინინგის ანგარიში) სათაურში მითითებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბარდუბანი, შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ტექნოლოგიურ პროცესში, დღის განმავლობაში 700 $მ^3$ სასარგებლო წიაღისეულის გადასამუშავებლად გამოიყენება 4000 $მ^3$ წყალი, ამასთან, საწარმოო წყლის გაწმენდის მიზნით მოწყობილი სალექარის მოცულობა შეადგენს 475 $მ^3$-ს, აღნიშნული მოცულობები ურთიერთშეუსაბამოა, შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ უნდა იქნას გაანგარიშების მონაცემები ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (სალექარის ეფექტურობა);
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საწარმოო მოედანზე ატმოსფერული ნალექების წყლები ჩაიჟონება გრუნტში“, თუმცა, არ არის განხილული სანიაღვრე

წყლების შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების საკითხი, ასევე, არ არის შეფასებული ნიადაგზე/გრუნტზე, მიწისქვეშა წყლებზე და ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედება;

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტის ტერიტორიიდან 651 მეტრში განთავსებულია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო, ამასთან, მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საწარმოს ტერიტორიიდან 160 მეტრში მდებარეობს ამავე კომპანიის საკუთრებაში არსებული ანალოგიური ტიპის ობიექტი, შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო